ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №8032616

ნომერი: AR11148794

თარიღი : 22.06.2026

გაცემის თარიღი : 04.08.2026

გაცნობის თარიღი : 09.08.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის; ქალაქი თბილისი , შოთა ნადირაშვილის ქუჩა N22; ქალაქი თბილისი , ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის; ქალაქი თბილისი , ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი მეგრელიშვილი პ/ნ 01030006742
- თბილისი ნ.გოგოლის ქ. N 26

ორგანიზაცია:
- შპს,,მალუჯი" კოდი: 202451630

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. წარმოსადგენია საკადასტრო გეგმა, საპროექტო დროებითი ღობის ასახვით.
2. წარმოადგინეთ არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალაზე დამუშავებული ფოტომონტაჟი, გაბარიტული ზომების, მოსაპირკეთებელი მასალებისა და სიმაღლის ნიშნულების მითითებით.
3. წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს განსახილველი მოთხოვნით სამსახურისათვის მომართვის უფლებას. ამასთან, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 14.07.2026 N 61-01261953293 თანხმობა გახლავთ პირობიანი, წარმოსადგენია სსიპ - ქონების მართის სააგენტოს უპირობო თანხმობა.

დამატებით, წარმოსადგენია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად შედგენილი N01.17.14.003.502 საკადასტრო ერთეულის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, რომელითაც დადგინდება, რომ კრებას დაესწრო წევრთა მინიმუმ 2/3 და განცხადებით მოთხოვნილ სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა წევრთა 2/3-ის ნახევარზე მეტმა.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე.
მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.